



კომუნისტები

პროლეტარებო ყველა ძველსა, შეერთდით!

საქართველოს კ.პ.ს.-ის და მხრომელთა დამხმარებლის საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 246 (9406)

ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

გუშინ ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის დეპუტატი ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი მძლავრი წინსვლის, კომუნისტების მშენებლობაში ახალი შესანიშნავი გამარჯვებების მოპოვების დიად სტალინურ პროგრამას. დენინ—სტალინის ძველმოხილი დროში, ბრძენი ბელადისა და გენიალური მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით წინ კომუნისტების ნათელი მწვერვალებსაკენ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა



(ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დღე-გატეხი ხელებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „დიდება დიდ სტალინს!“)

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჩვენი ყრილობის სახელით მადლობა ვუძღვნა ყველა მოქმე პარტიასა და ჯგუფს, რომელთა წარმომადგენლებმაც პატივი დასდეს ჩვენს ყრილობას თავისი დასწრებით ან რომლებმაც გამოუგზავნეს ყრილობას მისასალმებელი მიმართულებები, — მეგობრული მოხალმეობისათვის, წარმატების სურვილისათვის, ნდობისათვის. (მშუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ხანგრძლივი ტაშით, ხანგრძლივი ტაშით.)

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს ნდობა, რომელიც ნიშნავს მზადყოფნას მხარი დაუჭიროონ ჩვენს პარტიას მის ბრძოლაში ხალხთა ნათელი მომადლობისათვის, მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მის

ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. (მშუხარე, ხანგრძლივი ტაშით.)

შეცდომა იქნებოდა გვეუქრა, რომ ჩვენს პარტიას, რომელიც მძლავრი ძალა გახდა, მხარდაჭერა აღარ სჭირდება. ეს სწორი არ არის. ჩვენს პარტიას და ჩვენს ქვეყანას ყოველთვის სჭირდება და და კვლავაც დასჭირდებათ საზღვარგარეთელი მოქმე ხალხების ნდობა, თანაგრძობა და მხარდაჭერა.

ამ მხარდაჭერის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოქმე პარტიის მიერ ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის ყოველი მხარდაჭერა ამავე დროს ნიშნავს თავისი საკუთარი ხალხისათვის მხარდაჭერას მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როცა ინგლისის მუშებმა 1918-1919 წლებში, საბჭოთა კავშირზე ინგლისის ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოაწყეს ომის წინააღმდეგ ბრძოლა ლოზუნგით „უხედი შორს რუსეთისაკენ“, ეს იყო მხარდაჭერა, მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ხოლო შემ-

დეგ საბჭოთა კავშირისთვის მხარდაჭერაც. როცა ამხანაგი ტორეზი ან ამხანაგი ტოლიატი აცხადებენ, რომ მათი ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ არ იომებენ (მშუხარე ტაშით), ეს არის მხარდაჭერა, უწინარეს ყოვლისა მხარდაჭერა საფრანგეთისა და იტალიის მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის მხარდაჭერაც. ურთიერთმხარდაჭერის ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს. (მშუხარე ტაშით).

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

გასაგებია, რომ ჩვენი პარტია ვალში ვერ დარჩება მოქმე პარტიების წინაშე და თვითონ იგი თავის მხრივ მხარს უნდა უჭერდეს მათ, აგრეთვე მათს ხალხებს მათს ბრძოლაში განთავისუფლებისათვის, მათს ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ასეც იქცევა. (მშუხარე ტაშით).

მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რევოლუციური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უფლის დიკტირებისათვის, მოქმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვირვებლები“ უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვირვებლები“ წარმატებები მდგომარეობას შეუშლენ უკლებლად კაპიტალიზმის უფლებქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია განადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები ისწა ფაშისტური მონობისა საურთხისაგან. (მშუხარე ტაშით).

რა თქმა უნდა, ამ საბაბითა როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, ხანამ „დამკვირვებლები“ ერთადერთი იყო და ხანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი. მაგრამ ეს წინაი იყო. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩინოვნიკთა კიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვირვებლები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა. (მშუხარე, ხანგრძლივი ტაშით).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არიან ის კომუნისტური, დემოკრატიული თუ მუშურ-გლეხური პარტიები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მუშაობა. მაგრამ მათთვის იმდენად ძნელი როდია მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო ჩვენთვის, რუსეთის კომუნისტებისათვის, ცარიზმის პერიოდში, როცა ოდნავ წინსვლისა უმძიმეს დანაშაულად აცხადებდნენ. მაგრამ რუსეთის კომუნისტებმა გამძლეობა გამოიჩინეს, სიმძლეობა არ შეუშინდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს. ამასვე მიაღწივენ ეს პარტიები.

მაინც რატომ იმდენად არ გაუძნელებათ მუშაობა ამ პარტიებს მეფის პერიოდის რუსეთის კომუნისტებთან შედარებით?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მათ თვალწინ აქვთ ბრძოლისა და წარმატებათა ისეთი მაგალითები, როგორც საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრა-

ტიული ქვეყნებია. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ისწავლონ ამ ქვეყნების შეცდომებსა და წარმატებებზე და ამით გაიადვილონ მუშაობა.

მეორე, იმიტომ, რომ თვით ბურჟუაზია, — განმთავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი, — სხვა ვახდა, სერიოზულად შეიცვალა, უფრო რეაქციული გახდა, დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დაიხსნა თავი. გასაგებია, რომ ამ გარემოებაშიც უნდა გაუადვილოს მუშაობა რევოლუციური და დემოკრატიული პარტიებს. (მშუხარე ტაშით).

წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერლობა გამოეჩინა, ბურჟუაზიული-დემოკრატიული თავისუფლებების იცავდა და ამით მოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისაგან კვლიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ევრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლება“, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმითვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქე კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოხადდება მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. გათვლილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უფლებების პრინციპით. ბურჟუაზიული-დემოკრატიული თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. მე ვფიქრობ, რომ ეს დროშა უნდა აიღოთ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა, და წინ წაიღოთ იგი, თუ გსურთ ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერაფერი აიღებს მას. (მშუხარე ტაშით).

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რომლებსაც „ყველაფერზე მაღლა“ აყენებდა. ახლა „ეროვნული პრინციპისაგან“ კვლიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ექვს გარეშეა, რომ ეს დროშა უნდა აიღოთ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა, და წინ წაიღოთ იგი, თუ გსურთ თქვენს ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერაფერი აიღებს მას. (მშუხარე ტაშით).

ასეთია საქმის ვითარება ამჟამად.

გასაგებია, რომ ყველა ამ გარემოებამ მუშაობა უნდა გაუადვილოს კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება.

მაშასადამე, ყველა საფუძველი არსებობს გვეყენდეს იმედი მოქმე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში. (მშუხარე ტაშით).

გაუმარჯოს ჩვენს მოქმე პარტიებს! (ხანგრძლივი ტაშით).

სიცოცხლე და გამარჯვება მოქმე პარტიების ხელმძღვანელებს! (ხანგრძლივი ტაშით).

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! (ხანგრძლივი ტაშით).

ძირს ომის გამრავლებელი! (შველანი ფეხზე დგებიან. მშუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ხანგრძლივი ტაშით, ხანგრძლივი ტაშით.)

„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს მსოფლიოს მხრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!“, „დიდა სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!“. შემასხილენ: „ვაშა“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესახებ

საკავშირო კ.პ. (ბ) XIX ყრილობის რეზოლუცია

(მ ი ლ ე ბ უ დ ი ა ე რ თ ხ მ ა ე)

პარტიის XIX ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის VIII ყრილობის შემდეგ (1919 წელი), როცა მიღებულ იქნა პარტიის ახლანდელი პროგრამა, ძირითადი ცვლილებანი მოხდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, ისე სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დარგში, და ამასთან დაკავშირებით პროგრამის მთელი რიგი დებულებანი და იქ ჩამოყალიბებული ამოცანები პარტიისა, რამდენადაც ისინი უკვე განხორციელებულია ამ პერიოდში, აღარ შეესაბამება თანამედროვე პირობებსა და პარტიის ახალ ამოცანებს. ამის გამო ყრილობა ადგენს:

1. საჭიროდ და დროულად ჩაითვალოს პარტიის არსებული პროგრამის გადასწავლა.
2. პროგრამის გადასწავლებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ სტალინის ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — ძირითადი დებულებებით.

3. პროგრამის გადასწავლების განხორციელება მიენდოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით:
1. სტალინი ი. ბ. — თავმჯდომარე
 2. ბარნიკი ლ. პ.
 3. კაბანოვიჩი ლ. მ.
 4. კუშინინი ი. მ.
 5. მალენკოვი მ. მ.
 6. მოლოტოვი მ. მ.
 7. პოსპელოვი პ. მ.
 8. რუზინცევი ა. მ.
 9. სპაშკოვი მ. მ.
 10. ჩაენოვიჩი დ. ი.
 11. იულინი პ. თ.
4. პარტიის გადასწავლებული პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინოს საბჭოთა კავშირის კომპარტიის შემდეგს ყრილობას.

